საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №28
2022 წლის 31 იანვარი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №3-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი - 7201 - „სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ გაწეული მომსახურების საფასური“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი - სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმისა და მასში შემავალი მუზეუმთა ჯგუფების მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7201“;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის - 7341 - „სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ მიერ გაწეული მომსახურების საფასური“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები:

„სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი - შალვა ამირანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის, ეროვნული გალერეის, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7342“;
„სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფის მუზეუმის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7343“;
„სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი - ქართული სპორტის მუზეუმის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7344“.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.